სალომე ომიაძე
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
salomiadze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ქართული გასტრონომიული ტერმინთსისტემა, რძის შესადედებელი, ყველის ამოყვანა, რძის ნაწარმი.

კვეთი, ყველი – მსგავსი მოტივაციის მქონე ორი ლექსემა-ტერმინი

სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ერთეულთა მონაწილეობა ტერმინოლოგიური სისტემების შექმნაში უნივერსალური მოვლენაა. ბუნებრივია, რომ კვების სფეროსთან დაკავშირებული ქართული ყოფითი ლექსიკის დიდი ნაწილიც გასტრონომიის, როგორც სპეციალური დარგის, ტერმინთსისტემის კუთვნილება ხდება. საერთო ენიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში სიტყვათა მიგრაციას ხშირად ახლავს მნიშვნელობის ცვლა, გაფართოება-დავიწროება თუ მნიშვნელობის განვითარების სხვა გამოვლინებები. ჩვენ მიერ განსახილველი ორი ერთეული – კვეთი და ყველი – ერთი სისტემიდან მეორეში ისე გადადის, რომ არც განსხვავებულ ფუნქციას იძენს და არც სემანტიკურ ცვლილებას განიცდის. პირველი უფრო გამჭვირვალე შინაფორმის ლექსემაა, მეორის მოტივირებულობა კი არასპეციალისტისათვის ძნელი დასანახია.

კვეთი ერთადერთი აღმნიშვნელი არ არის თავისი აღსანიშნისა. ის ფაქტი, რომ რძის შესადედებელი მასალის ენობრივი ობიექტივაცია ქართულში სემიოტიკური სიმჭიდროვით ხასიათდება, საქართველოში რძისაგან სხვადასხვა ნაწარმის, კერძოდ ყველის, მიღების მდიდარსა და ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს. აქვე ჩამოვთვლით რძის შესადედებელი მასალის აღმნიშვნელებს, რომელთა განსხვავებული დიალექტური კუთვნილება, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ რძის შეყველება საქართველოს ყველა კუთხეში ჩვეული საქმიანობა, ხოლო ყველი მთისა თუ ბარის მცხოვრებ ქართველთა კვებითი რაციონის მკვიდრი შემადგენელი იყო: *კვეთი, სამკვეთრო / სამკვეთლო / სამკვეთო / საკვეთო* (გურულში, იმერულში, რაჭულში); *დვრიტა, სა-*

დვრიტა (ქართლურში, კახურში, ხევსურულში, ფშაურში); *მაჭიკი* (იმერულში, რაჭულში, ქართლურში, კახურში); *ყველის დედა / დედა / დედო / სადედე / სადედაკ̌* (ქართლურში, კახურში, თუშურში); *ხსენი / ჴსენი* (მთიულურში; ხევსურულში; მოხეურში: „დვრიტას ჩვენ ვეძახით *ხსნის ქერქს*“; კახურში: „ყველი დედაჲ *ხსენსაც* ვეძახით“; „*საჴსენე* – მაჭიკი, რომელსაც ყველის დედად ხმარობენ“); *ხაში* (დიალექტთა უმრავლესობაში ცომის საფუარს აღნიშნავს, ლეჩხუმურში კი – რძის შესადედებელს); *შაგოშ̌ / ზაგოში* (თუშურში, კახურში); *საკიდელი* (იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში); *საგნიერი / საგნიელი* (იმერულში); *[ყველის] წამალაჲ / წამალა / წამალი* (ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურში); *შილდანი* (კახურში); *ნაწი* (იმერულში, გურულში). კვეთის აღმნიშვნელებია სვანურში – *ლალდირ;* მეგრულში – *ნაწი, კვეთი / კვეთარი /, კვეცერა / ქაცელა / ქვეცელე, ჭიამაფუ,* ლაზურში – *მაკათი, პიპიდი / პიპიტი, მაჲა* (სპარს.-თურქ.).

მეცნიერული კვლევის გარეშე, ენის რიგითმა მატარებელმაც შეიძლება „კვეთი“ „კვეთს“ ზმნასთან დააკავშიროს, თუ მას ყველის ამოყვანა უნახავს ან ამ პროცესზე რაიმე სმენია. დასახელებულ დაკავშირებას იმგვარი შესიტყვების არსებობაც უწყობს ხელს, როგორიცაა „რძის აჭრა“. დღევანდელ ქალაქურ მეტყველებასა და პროფესიულ გასტრონომიულ დისკურსში თუ „რძის აჭრა“ უფრო გავრცელებული გამოთქმაა, დიალექტებში იმავე შინაარსის გამოსახატავად „რძის აკვეთა / ჩაკვეთა / დაკვეთა / შეკვეთა“ გამოიყენება. თვალსაჩინოებისთვის ქართული დიალექტური კორპუსიდან (ქდკ – http://corpora.co/#/corpus) დავიმოწმებთ კონტექსტებს:

„კვეთს რომ გამიელევა წვენი, დაასხამ წურუქას. *კვეთს* შუუდგება წვენი და იხმარ მერე ყველის *ჩასაკვეთათ*“ (გურული).

„ძროხას მოვწველით, მერე *კვეთს* უზამთ. კვეთი ღორიდანაც კეთდება და საქონლიდანაც. იმას უზამთ რძეს. რძეი რუ *დეიკვეთოს*, ცოტას შევათფობთ. მაშვინათე არ უნდა შუუსროს ცეხმა და *დიიკვეთება*“ (ქვემოიმერული).

„რძე დეიქნება // *დაიკვეთება* და ამოვიყვანთ ყველს“ (ლეჩხუმური).

„თბილს რძეში ჩაასხით სუფთა განარეცხ ნარმის ჭინჭში შემზადებული *კვეთი.* დაახლოებით სამს ბოთლს რძეს *შეკვეთავს* ნახევარი ღვინის ჭიქა *კვეთი*“ (გურული).

კვეთისა და *კვეთს* ზმნის კავშირს ქართველი ენათმეცნიერები სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ. აღ. ჭინჭარაულს *კვეთი კვეთს*

ზმნიდან მომდინარე სახელად მიაჩნია (ჭინჭარაული 1974: 54). მ. გალდავაძეც მას გასუბსტანტივებულ მოქმედებითი გვარის სასუბიექტო მიმღეობად (მ-კვეთ-ი > კვეთი) განიხილავს (გალდავაძე 2000: 113). აღნიშნულ მტკიცებას მხარს უჭერს ისეთი პრეფიქსშენახული დიალექტური ფორმებიც, როგორიცაა: *მ-კვეთი, სა-მ-კვეთ-ელი, სა-მ-კვეთლო / სა-მ-კვეთრო / სა-მ-კვეთო.* სწორედ უკანასკნელი ფორმა *სა-მკვეთო* აქვს სულხან-საბას თავის ლექსიკონში შეტანილი, რომელსაც „ყველის შესადედებლად“ განმარტავს (ორბელიანი 1928: 293). ა. არაბულის მიდგომის განსხვავებულობა ის გახლავთ, რომ მას *კუ̆ეთი* პირველადი, უაფიქსო სახელური წარმოების ნიმუშად, „ძირეულ სახელად“ მიაჩნია. „ძირეულ სახელებად“ კი მეცნიერი მოიაზრებს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ზმნასთან საერთო ძირის სახით, ყოველგვარი გაფორმების გარეშე წარმოდგებიან სახელებად – სუბსტანტივებად თუ ატრიბუტივებად (არაბული 2001: 29, 311).

გ. კლიმოვი ეჭქვეშ აყენებს ლექსემა კვეთის ქართულ ზმნურ ძირთან, „კვეთ“-თან, დაკავშირებას და აღნიშნავს, რომ ეს ერთეულები ასოციაციის საფუძველზე ისტორიულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს (კლიმოვი 1994: 180-181). მეცნიერს სახელური ლექსემა კვეთის პირველწყაროდ ინდოევროპული *kṷat(h)- მიაჩნია, რომლის მნიშვნელობაა ‘ამჟავება, დუღილი, ღვივილი’ და მას თავისი ნაშრომის იმ თავში განიხილავს, რომლის სახელწოდებაა „მოგვიანო ფენა ისტორიამდელი ქართველური ინდოევროპეიზმებისა“ (შდრ. წინა თავების სახელწოდებები: „პრაქართველური ქრონოლოგიური დონე“, „ქართულ-ზანური ერთიანობის ქრონოლოგიური დონე“). გ. კლიმოვი თავისი მოსაზრების გასამყარებლად ამბობს, რომ 1. *kṷat(h)-ს უკავშირდება შესადედებლის სახელწოდება ინდოევროპულ ენათა არაერთ განშტოებაში (ნათქვამის ნათელსაყოფად ავტორი იმოწმებს ი. პოკორნისა და ს. მანის სალექსიკონო მონაცემებს); 2. შესადედებლის აღმნიშვნელთა სესხების მაგალითები უხვად არის სხვა მასალის მიხედვითაც (ამ შემთხვევაში მეცნიერი რუსული სიტყვის ეტიმოლოგიას შეგვახსენებს: რუს. сычуг < თურქ. suzug). ჩვენ მხოლოდ ერთის აღნიშვნა გვსურს – გიორგი კლიმოვი, რომელმაც საერთო ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა **კუ̆ე(ს,)თ-* არქეტიპი, ამ ძირის მნიშვნელობად მხოლოდ ‘გაკვეთა, გათიშვას’ ასახელებს (კლიმოვი 1964: 111). იქნებ ამიტომაც ეჩვენება მას უპირატესად ლექსემა „კვეთის“ ინდოევროპულ ძირთან დაკავშირება, რომლის მნიშვნელობაც ‘ამჟავება, დუღილი, ღვივილია’. მართალია, არც *გაკვეთა-გათიშვაა* რძის შეყველე-

ბის პროცესიის აღწერა-სახელდებისათვის შეუსაბამო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულში *კუეთ-* ძირის შემცველი ზმნური თუ სახელური ლექსემები არა მარტო „გაჭრის, გაყოფის, დაცილების“ მნიშვნელობას, არამედ საპირისპირო მნიშვნელობებს – „შებმას, შეერთებას, შეთვისებას“ – გამოხატავენ, რის მაგალითებსაც ა. არაბულისა და ალ. ჭინჭარაულის ზემოდასახელებული ნაშრომების მიხედვით დავიმოწმებთ:

„ფრიად *შეკუეთებულ* იყო ყრმაჲ იგი ნუკრსა მას“ (ბალ. 7, 34).

„ფატმან იტყვის: მივეგებე, გული მისთვის ვაერთგულე ...
ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, *შევეკვეთე,* შევესულე“
(ვეფხ. 1138).

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და *შეგიკვეთებს,* მიგინდობს და მოგენდობის“
(ვეფხ. 1081).

სახელდობრ შეერთებისა და შედედების სემანტიკას გამოხატავს მთის დიალექტებში დადასტურებული *კუთი; შეკუთება; კუთ-კუთად:* „სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს, შეიკრა, *შეკუთდა* და დაახრჩობდა კიდეც ამირანს უცილოდ, რომ ბედისაგან განწირული ყოფილიყო“ (რაზიკ. ზღაპრ.). „წამალა ძუძუმწოვრის ჴბოს დვრიტაჩი *შაკუთებულ* ჴსენი“ (შინამრეწვ.). „ღელეში ნისლი ჩამოწვა *კუთ-კუთად* და შავად ჩამოაბნელა იქაურობა“ (ყაზბ.).

დაბოლოს, გ. კლიმოვის ეტიმოლოგიას გავიზიარებთ თუ ქართველი ენათმეცნიერებისას, ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ამოსავალი ძირის სემანტიკად *გაკვეთა-გაყოფას* მივიჩნევთ, *შედედება-შეერთებას* (კვეთის საგნობრივი დენოტატის ფუნქციის გათვალისწინებით, მასში „შესაძლებელია „განკვეთის“ სემანტიკაც იყოს რეალიზებული და „შეკვეთისაც“, – არაბული 2001: 33) თუ *ამჟავება-დულილსა* და *ღვივილს,* წარმოდგენილი მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „კვეთი“ რძისაგან ყველის წარმოების ტექნოლოგიური პროცესით მოტივირებული ლექსემა-ტერმინია.

ასევე ტექნოლოგიური პროცესი უდევს საფუძვლად ამ პროცესის შედეგად მიღებული რძის პროდუქტის – *ყველის* – სახელდებას, რის ცხადყოფასაც შევეცდებით. ლექსემა ყველი ქართული ენის უძველეს ძეგლებში X საუკუნის დასაწყისიდან დასტურდება, რომელთაგან ზოგიერთის სათანადო ფრაგმენტს მოვიყვანთ:

„ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და *ყველი*“ (ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, 900-930 წწ.).

„რომელმან იგი პური და *ყველი* ხელად მიიღო“ (იოანე სინელი, ებისტოლები, „კლემაქსი“, მთარგმნელი ეფთვიმე მთაწმიდელი, 970-980 წწ.).

„... დღესა *ყველითა* აღებასა“ (იოვანე ბოლნელი, „ეკრძალენით ქველის საქმესა“, კლარჯული მრავალთავი, 980-990 წწ.).

„და მოართუეს მას ძღუნად პური და *ყველი* და ფინიკი“ (კირილე სკვითოპოლელი, „საბას ცხოვრება“, 900-1000 წწ.).

„და მისცეს მოწაფჱ და გაკუეთილი შეუქმნეს, თავისა კრასოვულისაგან კიდე, კოკაჲ ერთი ღჳნოჲ თუესა შინა და *ყველი ერთი* და სამი ლიტრაჲ ზეთი და დღივ ერთი პური და ესე იყო გაკუეთილი მისი“ (გიორგი მთაწმინდელი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, 84,5, 1042-1044 წწ.).

ქართული ენის უძველეს ძეგლებში „ყველის“ მონაწილეობით შექმნილ მრავალ კონტექსტს შორის გამორჩეულია ეფრემ მცირის მიერ განმარტებული 67-ე ფსალმუნის მეთხუთმეტე მუხლი. ფსალმუნთა თარგმანება ეფრემ მცირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეგზეგეტიკური ნაშრომია. ეფრემ მცირის კომენტარები, ქრისტიანული ეგზეკეტიკის ტრადიციით, სახისმეტყველებით განმარტებებს მოიცავს, რომლებიც, თავის მხრივ, ეფრემისეულ ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის განსჯათა შედეგია (იხ. დობორჯგინიძე 2001). სრულად დავიმოწმებთ დასახელებულ კომენტარს, რომლითაც სიტყვა ყველის წარმომავლობა დგინდება:

„მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი“. მთა ღმრთისა ეწოდების მორწმუნეთა ეკლესიასა. მთად, რამეთუ მაღლად მდგომარე არს ქუეყანიერთა და აღმპყრობილ არს იგი ზეცად მიმართ, საქმეთა მიმართ და სხუათა. ხოლო ღმრთისა, ვითარცა განკუთნვილი და განთავისუფლებული ღმრთისა, პოხილ უხუებისათჳს და ჰაეროვნებისა მას შინა მყოფთა სჯულიერთა საძოვართა და შეყოფილ და განყველებულ გონიერებისათჳს და სიმტკიცისა მას შინა მყოფთა სჯულთა სარწმუნოებისათა, და რამეთუ ყველი შეყოფილ არს შედგენილი, და განმაგრებული, მერმე კუალადცა პოხილ უხუებითა სულისა წმიდისა ნიჭითა და მადლთაჲთა, რომლისათჳს აქებს მრავალფერად მთასა ესევითარსა მრავალსახეობისათჳს ძალთა მისთაჲსა“ (განმარტება 1996: 181-182).

ეფრემ მცირე ამ კომენტარში მთასა და მის სამ მსაზღვრელს განმარტავს, რომელთაგან „შეყოფილი“ „განყველებულის“ სინონიმად წარმოგვიდგება, იმავე კონტექსტში ტოლობის ნიშანი დაისმის „ყველ-

სა“ და „შეყოფილობას“ შორის, იქვე გრძელდება „ყველის“ დახასიათება, როგორც „შედგენილისა“ და „განმაგრებულისა“. დამოწმებული ტექსტი, ფაქტობრივად, სრულად აღწერს ლექსემა ყველის სემანტიკურ სტრუქტურას, რომლის ბირთვად „შეყოფილობა“ გვევლინება. ეფრემ მცირე საკუთარი განმარტებით – „ყველი შეყოფილ არს“ – მეთერთმეტე საუკუნეში სიტყვა ყველის შინაგან ფორმას ააშკარავებს, რითაც მის პირველ ეტიმოლოგიას გვთავაზობს. ამით სიტყვა ყველის სემანტიკური მოტივაცია გარკვეულია – ძველი ქართული ენის ლექსიკონების მიხედვით, „შეყოფილის“ მნიშვნელობაა შედედებული, შემკვრივებული (აბულაძე 1973: 493), შეერთებული (სარჯველაძე 1995: 244), შეერთებული, შეკავშირებული (სარჯველაძე, 2001: 250).

სემანტიკურთან (შიდაფორმობრივთან) ერთად, სიტყვა ყველის გრამატიკულ (გარეფორმობრივ) მოტივირებულობას ასაბუთებს მზექალა შანიძე, როდესაც იგი ყვ-ელ ფუძეს ყავ-/ყვ- ფუძესთან აკავშირებს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ შედეგთან მეცნიერი ასევე ფსალმუნის ტექსტის ანალიზს მიჰყავს, სახელდობრ, 118-ე ფსალმუნის 69-ე-70-ე მუხლებისას, რომლებშიც შეყოფა ზმნის პირიანი ფორმის მონაწილეობით გაუგებარი შესიტყვება იქმნება:

„განმრავლდა ჩემ ზედა სიცრუე ამპარტავანთაჲ, ხოლო მე ყოვლითა გულითა ჩემითა გამოვიძიენ მცნებანი შენნი; *შეიყო, ვითარცა სძე,* გული მათი, ხოლო მე შჯულსა შენსა ვიტყოდე“.

მ. შანიძე წერს: „ეს ფსალმუნი გვიანდელი ეპოქისაა; მასში ხშირია მართალთა და ბოროტთა დაპირისპირება, რაც სავსებით უცხოა ძველი ფსალმუნებისათვის. მოყვანილ ნაწყვეტში ავტორი, რომელიც პირველი პირით ლაპარაკობს, თავისთავს უპირისპირებს ამპარტავან მოწინააღმდეგეებს. 69-70 მუხლების პირველი ნაწილები, ავტორის თვალსაზრისით, უარყოფით დახასიათებას წარმოადგენს, მეორეში კი – მოლაპარაკე საკუთარ ღირსებებს ჩამოთვლის. ქართული კონტექსტი მეტის გარკვევის საშუალებას არ იძლევა“ (შანიძე 1960: 60).

გაუგებარი შესიტყვების *„შეიყო, ვითარცა სძე, გული მათი“* ზუსტი მნიშვნელობის დასადგენად მკვლევარი მიმართავს ბერძნულსა და სომხურ პარალელურ ტექსტებს, ასევე ბიბლიის პირველწყაროს – ებრაულ ტექსტს და აღნიშნავს, რომ ებრაულში სათანადო ადგილი შემდეგნაირად ითარგმნება: „მსუქანი იყო, გასქელდა, როგორც ქონი, მათი გული“, რაც მეტაფორულად ნიშნავს „უგუნური იყო მათი გული“. დასახელებული მეტაფორული მნიშვნელობა სავსებით გასაგებს ხდის ჩვენთვის საინტერესო კონტექსტს, რომლის მნიშვნელობა გამო-

დის: ისინი უგუნურნი არიან, ხოლო მე შენ შჯულს აღვიარებ“, მაგრამ ჩნდება კითხვა, „მსუქანი, სქელი იყო, როგორც ქონი (= უგუნური იყო), გული მათი“, რატომ ითარგმნა ქართულად როგორც *„შეიყო, ვითარცა სძე,* გული მათი“. ამ კითხვის პასუხად მზექალა შანიძე ბერძნულში დედნის გაუგებრობას ასახელებს, ქართული კი ბერძნულის უშუალო თუ შუალობით თარგმანად მიაჩნია. აღნიშნული გაუგებრობა უკავშირდება, ერთი მხრივ, ებრაულში სიტყვების – „ქონისა“ და „რძის“ – მსგავს დაწერილობას და ამის გამო „ქონის“ ნაცვლად ბერძნულში „რძის“ გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, ებრაულში ქონთან შეწყვილებულ ზმნას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა, „გასქელებასთან“ ერთად, უწმინდურობა, გაფუჭებულობა იყო, რამაც გააჩინა ბერძნულში ფრაზა: აიჭრა, ყველად იქცა, როგორც რძე, გული. მ. შანიძე დასძენს: „რძის გაფუჭება სწორედ მისი აჭრაა“.

მოხმობილი მსჯელობის შემდეგ მ. შაინიძეს მოჰყავს კონტექსტი იობის წიგნიდან, რომელში დადასტურებული „შეყოფა“ ზმნის პირიანი *„შემყავ“* ფორმა სწორედ „შეყოფისა“ და „ყველის“ კავშირის გარეგანი მაჩვენებელია: „ანუ არა ვითარცა სძჲ მომწუელე მე და შემყავ მე, ვითარცა ხაჭოჲ?“ (იობ.,10,10) – *ყავ-ელ-ი → ყვ-ელ-ი* – „აჭრილი, შედედებული, რძიდან მიღებული რამ, – შეყველებული“ (შანიძე 1960: 62).

რაც შეეხება *-ელ* სუფიქსს, მ. შანიძე არნ. ჩიქობავას მოსაზრებას იმოწმებს, რომ იგი არის „სახელის სუფიქსი და მას პირველ ყოვლისა სუბსტანტივებსა და ატრიბუტულ სახელებში ვხვდებით და შემდეგ მიმღეობებში“ (ჩიქობავა 1942: 30). მეცნიერი დასაშვებად მიიჩნევს, რომ *ყველი* არნ. ჩიქობავას მიერ დასახელებულ -ელ სუფიქსით ნაწარმოებ სუბსტანტივებს – ქს-ელ-ს, უღ-ელ-ს, ს-თუ-ელ-ს და მისთ. – დაემატოს (შდრ. სარჯველაძე 2000: 12).

ამგვარად, *კვეთი* და *ყველი* მსგავსი მოტივაციის მქონე ლექსემა-ტერმინებია: პირველი სასუბიექტო მიმღეობის ფუნქციისა, მეორე კი – საობიექტოსი. მათი ამოსავალი ძირების ლაბილური სემანტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ორივეს მნიშვნელობად შედედება ვიგულისხმოთ და მათ შორის ისეთივე მიმართება დავინახოთ, როგორიცაა *შემდედებელსა* და *შედედებულს* შორის.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: „მეცნიერება“.

არაბული 2001 – ავთანდილ არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი: „ქართული ენა“.

გალდავაძე 2000 – მაყვალა გალდავაძე, რძე და რძის შესადედებელი მასალების ტერმინები ქართულში, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი: „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

განმარტება 1996 – ფსალმუნთა განმარტება: სიტყუანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებილნი მრავალთა წიგნთაგან (უძველეს ხელნაწერთა მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, ტექსტის რედაქტორი მზექალა შანიძე), ნაწ. II, თბილისი.

დობორჯგინიძე 2001 – ნინო დობორჯგინიძე, ეტიმოლოგიურ-ლექსიკოლოგიური ხასიათის კომენტარები „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებიდან“, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. XXX, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 188-194.

კლიმოვი 1964 – Георгий Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва: Издательство Академии наук СССР.

კლიმოვი 1994 – Георгий Климов, Древнейшие Индоевропейзмы Картвельских языков, Москва: «Наследие».

ორბელიანი 1928 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით), ტფილისი: „ქართული წიგნი“.

სარჯველაძე 1995 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სარჯველაძე 2000 – ზურაბ სარჯველაძე, მიმღეობათა ოდენ -ელ სუფიქსიანი წარმოება და პირ-ვ-ელ ფუძის წარმომავლობის საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 10-17.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი http://corpora.co/#/corpus, მასალით სარგებლობის თარიღი 20.10.22.

შანიძე 1960 – მზექალა შანიძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 55-63.

ჩიქობავა 1942 – არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჭინჭარაული 1974 – ალექსი ჭინჭარაული, სემანტიკური გადასვლები ზოგ ლექსიკურ ჯგუფებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIX, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 54-68.

Salome Omiadze
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics, Georgia
salomiadze@yahoo.com

Keywords: The System of Georgian Gastronomic Terms, Milk Curdling, Cheese-Making, Dairy Products.

Rennet, Cheese – Two Lexemes-Terms with Similar Motivation

Summary

Participation of the units of the lexical fund of the literary language in the creation of terminological systems is a universal phenomenon. Naturally, a large portion of Georgian everyday vocabulary related to food has formed part of the terms of gastronomy as a specialized field. Migration of words from everyday vocabulary to the terminological system is often accompanied by the change of meaning, extension/restriction or another kind of development of meaning.

The two lexical units analyzed in the article – rennet and cheese – are transferred from one system into another without any change in

their function and meaning. Rennet is a more transparent lexeme because the Georgian word for rennet „კვეთი“ /kveti/ is related to the verb „კვეთა“ /kveta/ (dissect). Any speaker of Georgian will notice this semantic connection if he/she has observed the process of cheese-making. Rennet is used to dissect milk or make it sour (cf. კვეთა (dissect) – ჭრა /chra/ (cut) – აჭრა /achra/ (make sour) – destroy the integrity of something). Thus, „კვეთი“ /kveti/ is a substantivized participle: კვეთი ← მ-კვეთ-ი – ‘something which dissects’, motivated by the technological process of producing cheese from milk. The technological process also forms grounds for the name of the obtained product – ყველი /kveli/ (cheese). It is related to the verb “push through”, which in Old Georgian meant ‘to join, curdle, solidate’.

The stems from which the words კვეთი /kveti/ rennet and ყველი /kveli/ cheese are derived were *კუეთ /kuet/* and *ყოფ /kop/.* In Old Georgian, these stems had labile semantics: both of them embraced opposite meanings ‘to divide’ and ‘to join’. Taking into account the denotational function of the word კვეთი /kveti/ (rennet), we can assume that it combines the semantics of both division and joining, whereas the word ყველი /kveli/ (cheese) denoted ‘to join, to solidate’.

Thus, *კვეთი /kveti/ (rennet)* and *ყველი /kveli/ (cheese)* are lexemes-terms of similar motivation: the first performs the function of a subjective participle, whereas the second performs the function of the objective participle. Taking into account the unstable semantics of their initial stems, we can argue that the meaning of both lexemes is ‘to curdle’, and the relation between the two is that of *the curdler* and *the curdled.*